



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 030/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გურამ ლექვინაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ფიზიკურმა პირმა (შემდგომში - „საჩივრის ავტორი/კლიენტი“) მიმართა ეთიკის კომისიას თავისი რწმუნებულის (შემდგომში - „ადვოკატი“) დისციპლინური სახდელის დაკისრების მოთხოვნით. ადვოკატმა წარმომადგენლობა განახორციელა ორი პირის სასარგებლოდ, რომელთაგანაც ერთ-ერთი გახლდათ საჩივრის ავტორი. სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების შესაძლებლობა, ადვოკატმა მხოლოდ პირველ კლიენტს აუხსნა, ხოლო საჩივრის ავტორისათვის მას არაფერი უცნობებია. ადვოკატსა და კლიენტებს შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის ფორმა, რომლის თანახმადაც ადვოკატს საქმის თაობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა პირველი კლიენტისათვის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა საჩივრის ავტორსაც.

პროცედურული ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.6. მუხლი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2. მუხლი.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს შეუძლია, ერთსა და იმავე საქმეზე, რამდენიმე კლიენტის ინტერესების თანამოსარჩელებების ან თანამოპასუხეების სახით წარმოდგენისას, კლიენტებთან შეათანხმოს მათთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რაც შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას და აღნიშნული კლიენტის მიერ დანარჩენი პირების ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მსგავსი სახის ინფორმაციის მიწოდების ფორმა გამოიყენება სასამართლოსა და მხარეებს შორის კომუნიკაციის პროცესში აღნიშნულ ფორმაზე მხარეთა შეთანხმების არსებობისას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოსთან კომუნიკაცია მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, სასამართლო უწყებს აბარებს მინდობილ პირს და იგი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სხვა თანამონაწილეებს. შესაბამისად, ადვოკატის დავალდებულება ინფორმაცია მიაწოდოს თითოეულ კლიენტს იმ პირობებში, როდესაც კლიენტებმა საადვოკატო საქმიანობის დაწყების პროცესში ან შემდგომ თანხმობა გამოხატეს, რომ ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდოს ერთ-ერთ მათგანს, შეიძლება ზედმეტად დამავალდებულებელი იყოს ადვოკატისათვის.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

¹ გადაწყვეტილება 030/12, თარიღი 07.11.2012.

<https://gba.ge/pdf/5c4c56c3632f6.pdf/5c4c56c3632f6.pdf>